

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვის დაჰსდგის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).
 ეპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარულ, ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).
 მოვედით ჩემდა ყოველნი მასურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 18

1883-1892

30 სექტემბერს.

გ ა ზ ე თ ი ს ო გ ა ს ი :

«მწყემსი»		«მწყემსი» რუსული გამოცემით	
12 თვეთ	5 მან.	12 თვეთ	6 მან.
6 —	3 —	6 —	4 —


ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:
 ВЪ Копиулы, въ редакцію „Мукемси“ и „Пастыр“.

ყველა სტატიები და კორექტიონები, რომელნიცა იქმნებიან დასაბუქდავით გამოგზავნილნი ვრცელად და განსაკუთრებულად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.
 სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.
 სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

სად უნდა ექნეს ბინა მოსწავლე ქალებს?

ჩვენი სურვილი და აზრი, გამოცხადებული იმერეთის სამღვდელთა კრებაზე ქალაქს ქუთაისში 1890 წელში, შესახებ საქალებო სკოლის დაარსებისა, მოწონებული და ერთხმად მიღებული იყო მთელი იმერეთის სამღვდელთა კრების წარმომადგენელთაგან. ამ კრებაზედვე

დანიშნული კომიტეტი ამ კითხვის სისრულეში მოყვანისათვის შრომობდა და შრომობს დღემდე და მადლობა ღმერთს, რომ ეს კეთილი აზრი განხორციელდა და სისრულეში მოვიდა. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ უწმიდესმა სინოდმა გადასწყვიტა და ნება დართო გაიხსნას ქუთაისში ეპარქიალური საქალებო სასწავლებელი სტრუიკის-სეულ სახლებში, ამასთან ეს ხსენებული მამულიც მთლად გადაეცა იმერეთის ეპარქიის სამღვდელთა კრებას.





უველამ იცის, რომ ეს მამული ცოტა ფასის არ არის და სამდღველოებამ არა მცირე მამული შეიძინა განსვენებულ სტრუიკებისაგან. მაგრამ ერთი უბედურება გვჭირს საზოგადოთ უველას. ეს უბედურება განლავსთ ის, რომ ჩვენ მოხმარება არ ვიცით ქონებისა. რამდენი საეკლესიო მამულებია დაკარგული ჩვენი დაუდევნელობით და გაუმჭრიახობით. აიღეთ, თუ გინდა ეს მშვენიერი სტრუიკისეული მამული. რა ვისარგებლეთ ან სახლებით, ან ბადით და ან ეკლესიით ამდენი ხნის განმავლობაში? არაფერი სრულებით. რისთვის? მისთვის, რომ მოხმარების უაირათი არა გვაქვს. ვინც იდგა სახლებში, ქირის შემოტანის მაგიერათ, პირიქით დაიწყო ქირის თხოვა!.. იმედია, რომ ამის შემდეგ მაინც ისარგებლებს ამ მამულით სამდღველოება... სტრუიკისეული ადგილი სწორეთ კარგი ადგილია სასწავლებლისათვის, მაგრამ სახლებს უნდა მოწყობა სკოლისათვის, ისე, რომ აქვე ქონდესთ ბინა მოსწავლე ქალებს. უკვე გამოცხადებული იყო, რომ სწავლა ამ ახალ სასწავლებელში ამ მომავალი ოქტომბრის 5-ს რიკვს დაიწყება. გამოცხადებული იყო აგრეთვე, რომ ორი წლის განმავლობაში ჰანსიონი არ იქმნება სასწავლებელში და უველამ თავიანთი შვილები, თავისი შენეღვისამებრ, რიგან ოჯახებში უნდა დააბინავოსთ.

აქ ერთი დაბრკოლება შენვდება უველას, ვინც ამ სასწავლებელში შეიყვანს შვილს. სასწავლებელი ცოტა დაშორებით არის ქალაქზედ და ქალაქიდან სიარული სასწავლებელში საძნელო იქნება მოსწავლეებისათვის.

დიდი გამჭრიახობა მართებს ამ სასწავლებლის გამვე კომიტეტს, რომ ჯეროვანად მოითქროს ამ სასწავლებლის მოსწავლეების დაბინავებაზე. არ შეიძლება ისე აბურხად მიაბარონ მოსწავლე ქალები მშობლებმა ქალაქის მცხოვრებთ, როგორც ზოგიერთი მღვდლები თავიანთ ვაჟიშვილებს აბარებენ, სადაც მოხვდებათ და სადაც უფრო იათად გაურვივდებიან. მოსწავლე ქალების ბინა უნდა იყოს უსათუოდ რიგან ოჯახებში და კარგი დედაკაცების მხედველობის ქვეშ.

სასწავლებლის გამვე კომიტეტს განუცხადა ქალბატონმა მ. ვარდოსანიძემ, რომელსაც ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში აქვს სწავლა მშვენივრად დამთავრებული, რომ იგი მიიღებს მოსწავლე ქალებს თავის საკუთარს ჰან-

სიონში და ასაზრდოებს მათ რიგიანათ. ამასთან ის ითხოვს, რომ თავისუფალი ოთახები სასწავლებლის შენობაში მიეცეს მას მოსწავლეთა დასაბინავებლად, ვინაიდან ამ სასწავლებლის ახლო-მანლო რიგანი ბინა ჯერ-ჯერობით არ იშოვება. ჩვენის აზრით მიუცილებლად საჭიროა, რომ სასწავლებლის თავისუფალი ოთახები დაეთმოს ამ პირს მოსწავლეთა დასაბინავებლად.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ თავისუფალი ოთახების მთხოვნელები ბევრი აღმოჩნდებიან, მაგრამ არავისთვის ისე საჭირო არ იქნება ეს ოთახები, როგორც თვითონ მოსწავლე ქალთათვის.

საკვირველია, ჯერ კლასი არ განსწილა, მაგრამ მთხოვნელებმა, როგორც ამბობენ, სული შეაწუხეს. ერთი სხვა თანამდებობასთან ერთად ითხოვს ოთახების მუქთად დათმობას, მეორე ეკონომობას, მესამე მღვდელობას, მეოთხე საქმის წარმოების თანამდებობას, მეხუთე «შვიცარობას» და სხ. და სხვ... უველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენს სამდღველოებს არა აქვს იმდენი ფული, რამდენიც ოდესის სამდღველოებს, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში 30,000 მან. დაუნარჯავს სასწავლებლის შესანახავად. იმერეთის სამდღველოებს დარბიულად უზრდია თავისი შვილები, მაგრამ ამით მათი შვილები წინ თუ წასუთან მდიდრულად და ფუფუნებით აღზრდილ საერო წოდების შვილებზე, თორემ უკან არავის ჩამორჩინიან. ასე დარბიულად ეცდებიან გამოზარდონ თავიანთი ქალიშვილებიც და დარწმუნდით, რომ ეს ქალიშვილები ბევრით უფრო სასარგებლონი გამოვლენ იმათზედ, რომლებზედაც მართა თამაობის და მუსიკის სწავლებისათვის ას მანეთობით ხარჯვენ წელიწადში.

სტრუიკისეული მამულს მშვენიერი საბადე და საბოსტნო ადგილი აქვს. აქ ადვილად შეიძლება შესწავლონ მოსწავლეებს ბოსტნის გაშენება, მეფუტკრობა, ფრინველების გაზრდა, აბრემუმის მოყვანა, ქსოვა-კერვა და სხვა მეოჯახობა. მაგრამ არა ისეთი ქსოვა, ქარგვა და კერვა, რომლისთვის ზოგიერთ სასწავლებელში ოთხსა და ექვს ათას მანეთს ხარჯვენ უოველწლობით...

დკ. დ. დამბაშიძე.

ხმა კრონიციიდაჲ.

როგორც «მწყემსის» მკითხველებსაც მოეხსენებათ ამ რადენიმე თვის წინად გორის მაზრის სოფ. არბოში აკურთხეს ახალი, დიდი ეკლესია წმიდის, დიდი მთავარ-მოწამის გიორგის სახელობაზე, სადაც ამ ჟამად სრულდება წირვა-ლოცვა. არც ძველი პატარა ეკლესია არის დაფიწყებული: აქაც ხშირად სრულდება ხოლმე ქრისტიანული სამღვთო მსახურება. მართალია ძველი ვერცხლის ხატები და ჯვრები აქედამ ახალ ტაძარში გადასვენეს, მაგრამ კანკელი და სხვა წვრილი ხატები და მთლად შენობა ამ ეკლესიისა, როგორათაც შიგნით, ისე გარედამ შესაფერის სისუფთავითა და გაფთხილებით არიან დაცულნი. ცხადად სჩანს, რომ აქაურს მღვდელს, მამა გიორგი გვიმრაცხეს კარგათ აქვს შეგნებული ისტორიული ნაშთების მწაშენელობა.

ეს ძველი ტაძარი, ჭეშმარიტად, ღირსიც არის ამგვარი მოპყრობისა. ბატონიშვილი ვახუშტი თავის გეოგრაფიაში სწერს: «სოფელს არბოში არის ეკლესია წმიდის დიდი მთავარ-მოწამის გიორგისა, უგუმბათო». სჩანს სახელოვან ბატონიშვილზედ აღრე ყოფილა აშენებული ეს ეკლესია. გარდმოცემის თქმულებით იგი არის აშენებული დიდებულის თამარ მეფესაგან, რომელსაც ნდომებია თაყვანის-ცემა და დაცვა წმიდა მოწამის აბოს საფლავისა. რადგან ზოგიერთების აზრით წმიდა მოწამის აბოს საფლავი აქ არის და თვით სოფელსაც თავისი აწინდელი სახელი ამ წმიდანისაგან დარქმევია, ამიტომ საჭიროდ ვრაცხამ მისი ცხოვრების მოკლე მოთხრობასა.

მერვე საუკუნის ნახევარში ქართლის ერისთავად და მმართველად იყო ნერსე, შვილი ადარნასე კუროპალატისა. ამ დროს მთელს მცირე აზიაში არაბების ბატონობა იყო დამყარებული და თვით საქართველოც მათ სამფლობელოს ნაწილს შეადგენდა. მტრებმა დააბეჭდეს ნერსე ხალიფთან, რომელმაც დაიბარა იგი და ჩააგდო საპატიმროში, სადაც სამი წელიწადი იმყოფებოდა, შემდეგ სცნეს სიმართლე მისი, დაუბრუნეს წართმეული უფლებანი და პატივცემული გამოისტუმრეს საქართველოში. ამ დროს თან წამოჰყვა მას ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ახალ-

გაზდა კაცი, შთამომავლობით არაბი, ხოლო სარწმუნოებით, მაჰმადიანი. ეს იყო აბო. საქართველოში მოსვლის შემდეგ აბო მუდამ ქრისტიან ქართველობაში ტრიალებდა, რამაც მალე მოახდინა თავისი განვლენა ახალგაზდა სტუმრის უმანკო ბუნებაზე. ისწავლა ქართული ენა, წერა-კითხვა და იწყო სიარული ეკლესიებში, სადაც მას ესმოდა მაცხოვრის დიდებული მცნებანი. მან მიჰყო ხელი ახლა საღმრთო წერილის შესწავლას, რამაც ცხადად დაანახვა განუზომელი უაღრესობა ქრისტეს სარწმუნოებისა წინაშე მაჰმადის სჯულისა. დაინახა ეს და გადასწყვიტა უარყოფა უკანასკნელისა და მიღება პირველისა.



მოწამე აბო.

დათ არის დაცული ნიში პატიოსანისა და ძლივე შემოსილის მოწამისა. გვაძი მისი დასწევს და დანახშირებული ძელები ჩაჰყარეს მტკვარში. მაგრამ ქრისტეს მოყვარე მოწამის თაყვანის-მცემელთ მტკვრიდამ ღამე ჩუმად ამოიღეს ეს ძელები, ჩაასვენეს კუბოში, წამოიღეს შიგნით ქართლში და დაასაფლა-

მოინათლა აბო და ამ ჟამიდან იწყო ისეთი წმიდა ცხოვრება, ისეთი ქრისტიანებრივი მოღვაწეობა, რომ ძველი ქრისტიანი ქართველებიც კი დიდის აღტაცებით და გაოცებით შესცქეროდნენ მას. ამგვარად მომხადებული წმიდა აბო ჩამოვიდა ქ. თბილისში, სადაც სცხოვრობდა მოადგილე ხალფისა და მასთან ძრავალი მაჰმადიანი არაბები. აბომ იწყო ქალაქში სიარული და განცხადებით აღვიარება და ქადაგება ქრისტეს სარწმუნოებისა. სარკინოზთ იწყინეს ესეთი მოქმედება თავიანთ თანამემამულისა და დაასმინეს ხალიფის მოადგილესთან, რომელმაც ბრძანა შეჰყრობა და წამება მისი. აბო შეიპყრეს და 790 წელს, იანერის ნ, წყალ-კურთხევა დღესა, დიდის ტანჯვითა და წამებით მოჰკლეს თბილისში, მეტეხის კლდის ძირას, სადაც სახსოვრად ამ აბისა აქამომდეც წმი-

ვეს იმ ადგილას, სადაც შემდეგ გაშენდა სოფელი, რომელსაც დაერქვა სახელიად აბო, არბო. შემდეგ მეთორმეტე საუკუნის ვასულს, ანბობს გარდმოცემა, წმიდა მოწამის საფლავზე თამარ მეფემ აღაშენა აწინდელი პატარა ეკლესია დიდი მთავარ-მოწამის გიორგის სახელობაზე.

არის მართლა სოფ. არბოში საფლავი წმიდა მოწამის აბოსი? ანუ ვისგან არის აშენებული მოხსენებული ეკლესია?—ამ კითხვებზე ისტორიულად დასაბუთებული პასუხის მიცემა ძნელია; ის კი ცხადია, რომ ეს სოფელი და მისი ხატი იმავე ძველის დროდგანვე სახელ განთქმული ყოფილა მთელს შიგნითა ქართლში, რომლის მცხოვრებელნი დიდის პატავის ცემით და თაყვანებით ეპყრობოდნენ მას. ამ მხარეში აქამომდე ზშირად გაიგონებს ადამიანი ფიცილსა—«არბოს მადლობა». რალა თქმა უნდა საგანი ამ ფიცილისა არის წმ. მოწამე აბო და არა სოფელი! ამ მხრივ არც ჩენი კეთილმსახურნი მეფენი ყოფილან ხალხზე უკან ჩამორჩენილნი, ერთ კარგს მოზლილ ვერცხლის ბარძიბებზე *) ლამაზი მხედრული ასოებით არის შემდეგი წარწერა: «ქ. ჩვენ, საქართველოს მეფემ ირაკლი მეორემ, შემოგწირეთ შენ, ჩვენს სასო წმიდა გიორგის არბოსას, ეს ვერცხლის ბარძიბ-ფეშხუმ-კამარა ჩენი სულისა და ხორცის მტერზე ვასამარჯვებლად. მისხალი რმე. ქ-ნსა უმკ.» არის აქვე ძველი ხატი წმ. გიორგისა ვერცხლის ფურცელზე გამოხატული ცხენზე მჯდომარე გმირი მოწამე და ეს ხატი მიკრულია პატარა ორმეტკაველიან ფიცარზე. სახე წმ. გიორგისა და მოყვანილობა ცხენისა ვერ არიან ხელოვნურად გაკეთებულნი; ფიცარი დაფუტუროებული და კუთხეებ შემოაცვეთილია. ეს გარემოებანი ვგონებ ცხადათ აჩვენებენ ხატის სიძველესა. ბოლოში ამ ხატს აქვს ხუ-

სური ასო მთავრულით ვრცელი წარწერა, რომლიდან ამოვიკითხეთ, სამწუხაროდ, მხოლოდ შემდეგი: «ჩვენ გეირგეინოსანმან მეფეთ-მეფემან ლუარსაბ ვახტანგის-ძემან...» დანარჩენი სიტყვებიც სჩანან, მაგრამ ვერცხლის ფურცელი ზოგან ჩაჭყლეთილია, ზოგან გაცვეთილი და ამის გამო ძნელი გამოსარკვევნი არიან. თუ ოდესმე ან მე თვით და ან სხვის შემწეობით მოვახერხებ ამოკითხვა ამ წარწერილისა «მწყემსის» შუამავლობით ვაცნობებ მის შინაარს მკითხველ საზოგადოებას. ამას იმეტომ მოგახსენებთ, რომ—როგორცა სჩანს—მთელს ამ ძველ ეკლესიაში ყველაზედ ღირს-შესანიშნავი ეს ხატი უნდა იყოს, რადგან წმ. ნაწილები მთავარ-მოწამე გიორგისა ძველად ამ ხატში წყობილან. ხატის ზემოთა ნაპართან, წმ. გიორგის თავის ახლო ვერცხლის ფურცელი ერთი გოჯის სიგრძე-სიგანეზე ამოჭრილია და ცხადათა სჩანს ოთხ-კუთხეთ ჩაღრმავებული ფიცარი, სადაც სვენებულან მოხსენებული ნაწილები. ეხლა სულ მცირე რიცხვი ამ ნაწილებისა ასვენია პატარა ვერცხლის ჯვარში, რომლის სიგრძე არ იქნება სამს გოჯზე მეტი. რათ მომხდარა ეს ასე? ვის წაუღია დანარჩენი ნაწილები ქართველთა ერის საყვარელისა წმიდანისა? ანუ ვისი უკუღმართი მარჯვენა შეხებია ასეთის ჯოჯოხეთურის გაბედულობით სასწაულთ-მოქმედ ხატსა? ამ საკითხავეების პასუხი არა ერთხელ გამიგონია ჩემს პატარაობისას მაშინდელ მოხუცებულთაგან და დღესაც არა ერთი ხნიანი და დარბაისელი კაცი ემოწმება მათ თავიანთ სინდისიან ლაპარაკით. როგორათაც პირველნი, ისე ეს უკანასკნელნი ერთნაირის კრძალვა-შიშით და თითქმის ერთგვარის სიტყვებით გადმოგვცემენ შემდეგსა:

იმ დროს, როდესაც საქართველოს სამეფოს ბოლო ეღებოდა და გონება-მიხდილი მეფე საშინელ სენს ცოცხალი მკედარსავეთ დაემსგავსებინა, ამ დროს მისი ჭკუა-გონებით მალალი, მაგრამ პირადის ანგარიშებით დამდაბლებული, დედინაცვალი თავის ხსი-

*) ეს ბარძიბი ამას წინეთ მ. გ. გგ—ქეს საეპაღესიო მკვლი ნივთების ყუთში უნახავს; ამოუღია იქიდან, ოქრომჭედლისათვის გაუწმენდინებია და დღეს წმიდა ტრაპეზზე გამშვენებული სდგას.



ათის დაგეარად ატრიალებდა პოლიტიკურ კახრაკებს. თვისი გაძლიერებული ოჯახის წევრნი მას ჰყვანდნენ გაფანტულნი საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში და მათის დახმარებით რევდა იგი უბედურ ერსა, რომელიც ამ დროს, დიდი ირაკლის გარდაცვალების შემდეგ, უმწყემსოდ დარჩენილ ცხერის ფარას წააგავდა. ნაცვლად ერთობისა და მტკიცე თანხმობისა ესენი ხალხის მოწინავე რაზმს ათას ნაწილებათა ჰგლეჯდნენ და მით გულმოსაკლავის თავხედობით პირქვე ამხოზდნენ ძველის-ძველ სამეფოს მომავალ ბედ-იღბალს! ამ დროს სხვა ბატონიშვილებ შორის იულონიც გამოხიზნულ იყო თბილისი-ღამ და სახლობით სცხოვრებდა პატარა ლიანხვის ხეობაში, სოფ. არბოდვან ათიოდე ვერსის სიშორეზე, ბელოთის ციხეში, რომელიცა სდგას შუა ქართლისა და ოსეთის სამზღვარზე. ციხე აშენებულია ზედ ლიანხვის მაღალ კლდიან ნაპირას; დასავლეთით გამოსცქერის იქით მიმავალ ვიწრო და დახლოკნილ შარაგზას, რომელზედაც ასოდ ჩასაფრებულ კაცს ადვილად შეუძლიან დამარცხება და ამოწყვეტა დიდი და ძლიერი ლაშქრისა; ხოლო ჩრდილოეთით ლიანხვის მრცხნანე ხეობას წარბ-შეკრული გადმოჰბლევრია კავკასის უმთავრესი ქედი, დაყოფილ-დაგლეჯილ უფსკრულიანი ხეობებით და შავათ დაბურული შეუფალი ტყით ამასთანავე მთელი ეს ხეობაგამაგრებულია მრავალი ციხეებით და კოშკებით, რომელნიც დღესაც ამჟამად გადმოსცქერიან დაფიქრებულ დალონებულ მგზავრსა. ვაი იმ ჭკუა-მოკლე სარდალს, რომელიც ამ ადგილებს თავის ჯარს მიაყენებს!.

მით ბელოთის ციხე ოთხკუთხიან მაღალ გალავანს წააგავს... ბატონიშვილი ვახუშტი თავის გეოგრაფიაში მოკლედ იხსენიებს ამ ციხეს... არც ერთ მის კედელზე და ქვაზე არავითარი წარწერა არა სჩანს; ამიტომ ვერა გავიგე-რა: ვისგან და რა დროს არის აშენებული ეს ციხე. ხალხი კი, გარდა ბელოთისა, იულონ ბატონიშვილის ციხესაც ეძახის მას. შიგნით ციხეში დღევანდლამდე კარგათ არის დაცული ეკლესია მაცხოვრისა, რომელშიაც ინახება ძველი

დროშა აქაური ერისთავებისა. ხატებში უფრო შესანიშნავია ერთი ვერცხლის დიდიხატი იესო ქრისტესი, რომელსაც ბოლოში გრძელი, ძნელად ამოსაკითხი წარწერა აქვს. ეკლესიის პირ-და-პირ ციხის კედელზე მიშენებულია ორ სართულიანი სახლი. ამის ვიწრო ფანჯრებიდამ ადამიანს ეხატება თვალწინ, ერთის მხრივ-ახვევრდებული ტყიან-ჭალიანი მთები, სადაც ძველ დროში მრავალ შევლსა და ირემს, გარეულ თხებსა და ლორებს თითქმის ყოველ წამს ხედავდა კაცის თვალი, ხოლო მეორეს მხრივ—იქვე, კედლის ძირიდან გაისმის განუწყვეტელი ჩქაფა-ჩქუფი ლურჯად მოკამკამე პატარა ლიანხვისა, რომლის სეტყეასავით ციხეს ტალღებში აქამომდეც ბუზისავით ირევიან გემრიელი და დახატული კალმახები. ძნელად მოსაგონებელ მეთვრამეტე საუკუნის დამლევეს აქა სცხოვრობდა თავის სახლობით დარეჯან დედუფლის უფროსი ვაჟი, ბატონიშვილი იულონ...

აი ამ ციხე-დარბაზში მოხსენებულ ბატონიშვილთან, სხვათა შორის ხშირი მსვლელობა ჰქონდა ერთ ჭახაკ მოხუცებულ დეკანოზს, რომელსაც აქ ყველანი პატივისცემით ექცეოდნენ. ეს იყო არბოხ ვ. გიორგის ეკლესიის დეკანოზი მამა ანდრია ქურული. იგი იყო წინამძღვარი მოხსენებულის ეკლესიისა და ჰყავდა ორი თანაშემწე მღვდლები: გიორგი გვიმრაძე და ბაღნაშვილი. მასვე ჰქონდა მეფისაგან ჩაბარებული საეკლესიო ყუისა და მამულის მოვლა-პატრონობა. ანდრია დეკანოზი აკრთევე ხშირად დადიოდა თურმე ქ. თბილისშიცა და იყო სასიამოვნო სტუმარი დარეჯან დედოფლისაცა. ეჭვი არ უნდამამა დეკანოზს მოხსენებულ ორ სასახლეთა შორის ახალი პოლიტიკური ანბები მიჰქონდ-მოჰქონდა!

ერთ ამ გეარ მოგზაურობის შემდეგ მამა დეკანოზი მეტათ შეწუხებული დაბრუნდა ს. არბოში. ნეტა რა მოხდა? რა დაემართა ამ დამსახურებულ პირსა? იქნება გიორგი მეფემ შეუტყუო მას საიდუმლო მოციქულობა და ამის გამო რისხვა-წყრომას მოე-

ლოდა მისგან? ან იქნება დარეჯანი და იულონი გასცა და ეშინოდა ამათ მძლავრ კლანჭებში ჩაეარდნისა?.. ამაზედ ნამდვილი არა ვიცით-რა. ის ცხადია, რომ დიდი რამ უბედურება უნდა დასცემოდა მას თავზე! ესა სჩანს იმ სამძიმო შედეგისაგან, რომელიც მოჰყვა აღნიშნულ გარემოებას. ანდრია დეკანოზმა გადასწყვიტა სამშობლოს დატოვება და უცხო, შორეულ ქვეყანაში გადახვეწა. გადასწყვიტა, მაგრამ—ვინ რა ძნელია სამშობლოს მოშორება! თუ ეს საქმე ახლოვანდა კაცისთვისაც კი მეტის-მეტათ სამძიმოა, რაოდენ საძნელო უნდა იყოს ჩადენა მისი მოხუცებულისათვის! როგორ დაუტევოს საუკუნოთის ადგილები, სადაც დაბადებულა, აღზდილა, დაბერებულა! ვინ მისცემს საბადლოს იმ დედულ-მამულისას, რომელიც არა ერთხელ დასველებულა მისი ცრემლითა და ოფლითა?! როგორ მოშორდეს ცოლსა, შვილსა, ნაცნობ ნათესავებსა და ვის მიადგეს უცხო მხარეში თავის დაძაბუნებული მუხლებით, გათეთრებული თმით, მოკლული იმედებით?.. ვინ მისცემს ბანს მის სიმღერას და ვინ ანუგეშებს მას მწუხარებაში?! უბედურ აზრს ერთი ის თვისებაცა აქვს, რომ თუ გაჩნდა სადმე, მარტოკა დიდხანს არაოდეს არ დარჩება: უსათუოდ მალე გამოაბამს კუდზე სხვა და სხვა თავის მსგავს აზრსაცა. ასე მოუვიდა არბოელ დეკანოზსაც. «მოდი და წ. გიორგის ნაწილებს დავიპარამ და თან წავიღებ... ისინი იქნებიან ჩემი მფარველნი, ჩემი მანუგეშებელნი შორეულ უცხოეთში!» გაიფიქრა მოხუცებულმა... გაიფიქრა და მალე აღასრულა კიდევცა. ზემოთ მოხსენებული ნაწილებიანი ხატი ამოხსრა, ამოიღო იქიდგან წ. ნაწილები და გასწია რუსეთისაკენ. მიღის ანდრია დალონებულ-დაფიქრებული; უკანიდამ მისდევნ ათასი ნაღველაზე უმწარესი ფიქრები, ხოლო წინ განუწყვეტლივ და განუშორებლივ მიუძღვის რაღაც უსისხლ-ხორცო, მწარეთ დაღრეჯილი შავი აჩრდილი... ნეტა რა უნდა იყვეს ესა?.. რატომ ერთ წუთს მაინც არის არ შორდება იგი საცოდავი მგზავრის გზასა და კვალსა?.. ეგ არის, ეგ ანდრეუელი, ჩირქ მიცხებული სინიღისი

უბედური ადამიანისა!! ვაი მას, ვისაც სინიღისი ერთხელ როდისმე გაშავებია!!.

მივიდა ანდრია დეკანოზი მოზდოკში და აქ დაბინავდა. სიღარიბემ და, მომეტეებულად, რაღაც მწარე მოუხვეწრობამ მალე გახადეს ის იატულებული—გაეყიდნა თავიანი ძვირფასი მანუგეშებელი: ნაწილები იყიდეს რადენმავე შემძლებელმა ვაჭარმა რუსებმა. მაგრამ არც ამის შემდეგ იგრძნო გარდახვეწილმა მყუდროება სულისა და სიმშვიდე სინიღისისა. ერთ დღეს ის დალონებული მიდიოდა შუა ქუჩაში; აქ უცებ რაღამაც დაჰკრა თავში და უგრძობლად დასცა იგი მიწაზე. იმავე წამს, ჯერ ისევ ცოცხალ-მკვდარი ადამიანი, ყუფარვით გასკდა ზედ შუაზე, როგორც კრძალვითა და შიშით იტყვიან ხოლმე მოხუცებულნი. არც იმათ დაეჯარათ თურმე კეთილი, რომელთაც შეიძინეს ნაწილები მთავარ მოწამისა! ამ დღიდან მათი ოჯახები გარდაქცეულ იყვნენ ბუღეთ ყოველნაირ უბედურებათა, რის გამოც სამიოთხი ოჯახი თითქმის სრულიად ამოწყვეტალიყო. ბოლოს მიექციათ ყურადღება აღნიშნული გარემოებისათვის: შეეკრიბათ წმ. ნაწილები, ლოცვითა და ვედრებით ჩაესვენებინათ ისინი ვერცხლის პატარა ჯვარში და გამოეგზავნათ საქართველოსკენ. ამ დროს არბოხს წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვრად ყოფილი ამ შვიდი-რვა წლის წინათ გარდაცვალებული დეკანოზი იაკ. ლომოური. ამას, შეეტყო თუ არა მოახლოვება წმ. ნაწილებისა, მოეხდინა განკარგულება, რა რადენისამე შემოსილის მღვდლით, დიდძალი ხალხის თანადასწრებით მიჰკვებებოდა იგი ერთი ვერსის სიშორეზე. იქიდან ლოცვითა და ლალადებით წამოეღოთ მოხსენებული ჯვარი და დაესვენებინათ ეკლესიაში. აქ გახსნეს თურმე ჯვარი და მწუხარებით შენიშნეს, რომ წმ. ნაწილების რიცხვს მრავალი აკლდა... რა იქმნა დანაშაუნი? ამაზედ მოხუცებულებმა არა იცინა რა...

ანდრია ქურულის გაპარვის შემდეგ არბოხს წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვრათ დაუნიშნავთ მ. გიორგი გვირაძე და ამისთვისვე ჩაეპარებინათ საეკლესიო ყმისა და მამულის მოვლა-პატრონობა. აი რასა სწერს იულონ ბატონიშვილი მოხსენებულ მღვდელს: «ბატონიშვილი იულონ გიბრძანებ გვიმ-



რადე მღვდელი გიორგი: არბოს ეკლესია შენ უნდა მიიბარო; რაც ან მამული აქვს, ან შემოწირულება, ან თვითონ ეკლესიაში ხატი, ჯვარი და ეკლესიის ნიეთია. ყველა შენ უნდა გებაროს... ყმისა და მამულის შემოსავლიდან ათის თავი შენტვის მოგვიცია და უფროსი მღვდელიც შენ უნდა იყვე», ქ. უბე. მკათ. კვ-სა (ბეჭედო იულონისა). ეს ბრძანება იულონ ბატონიშვილისა ინახება ეხლანდელ არბოელ მღვდელთან მ. გიორგი გვიმრაძესთან, რომელიც არის შვილის-შვილის-შვილი ბრძანებაში მოხსენებულ გვიმრაძე მღვდლისა.

არბოელი.

„მწუხის“-ს კორარესკონდენცია

რაჭის მაზრიდან.

ღვთის მრევლი (რაჭაში) 1882 წლიდან შეუდგა, ნაცვლად ხის ეკლესიისა, ახლის ქვეთკირის ეკლესიის შენებას, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა მეტად გაუძნელდა, როგორც სიმცირისა გამო მრევლისა, აგრეთვე მასთვისაც, რომ ამგვარს კეთილ საქმეს წინ ეღობება დაბრკოლება. კარის თავმალის იყო აყვანილი კედლები, როდესაც ადგილობრივი მაზრის უფროსისაგან მოვიდა შემდეგი ბრძანება: «ვინაიდან ღვთის მრევლი უგვემოთ აშენებს ეკლესიას, ამიტომ აკრძალულ იქმნეს ეკლესიის შენება». ამ მიზეზისა გამო ვადიდა ოთხი წელი მეტი, სანამ გვემას იშოვიდა მრევლი. ამას დაემატა ოსტატის საჩივარი კომიტეტის წევრებზე ხვედრი ფულის მიუცემლობის შესახებ. ყოველივე ამას შეხედა ყოვლად სამღვდელი იმერეთის ეპისკოპოსმა და მრევლის თხოვნით მისცა მათ კონდაკი კეთილ მშენებლობით შესაწირავის მოსაგროვებლად და ამ საშუალებით მრევლს გაუადვილდა შენობის წარმოება»

წარსულის იელისის თორმეტს, თქმული ეკლესია აკურთხა ყოვლად სამღვდელი იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა; კურთხევის დროს თანამწირველებად იყვნენ: ადგილობრივი ბლაღოჩინი გორდეზიანი და მღვდლები: ღვთის, ბოტანის, საღმელოს და ხვანჭკარის. ხალხი სხვა-და-სხვა საფლქობად მოსული, მეტად ბევრი დაესწრო, ასე რომ ეკლესიაში, რომელიც კარგა დიდა, ტევა არ იყო; წირვის შესრულების შემდეგ მისი მეუფება გამობრძანდა

ეკლესიის ვალაფანში, სადაც ხალხი იყო შეკრებილი, ჯერ მრევლს მიულოცა და აკურთხა მათი ღვთის სასიამოვნო საქმის შესრულება და სტუმრებსაც მისცა რჩევა მიელოცა მრევლისათვის; შემდგომ აუხსნა ხალხს, რა სარგებლობას აძლევს კაცს ეკლესია სულიერად და ხორციელად; მასთან განუმარტა მსმენელთ დღის სამოკიქულოდამ ზოგიერთი ადგილები, დიდხანს განაგრძელა თავისი სიტყვა ხალხისადმი და ეს უკანასკნელიც კეთილ-მოწიწებით ისმენდა თავის მწყემსთ-მთავრის სიტყვას.

ღვთის ეკლესია, როგორც ვსთქვით, აღშენებულია ქვისაგან, ცა და გუმბათი აქვს ხისა. როგორც კედლები შიგნით, ვგრეთვე ცა და გუმბათი შეღესილია ალუბანით და გარეთ კედლები კირით, ასე გვეგონებათ სრულიად ეკლესია ქვეთკირის არისო. ეკლესია არის აღშენებული მაღალს ადგილზედ, სადაც ძველი ეკლესია იყო. მშენებრად გარდასტკერია მთელს ღვთის მცხოვრებლებს, თითქო ყარაულობს მათ, არაფერი გაუჭირდესთო. ეზო ეკლესიისა, რომელშიაც მოთავსებულია სასაფლაო, ვრცელია. ღვთის მრევლი ამ ეკლესიის შენობის დროს თუმცა დიდს შეწუხებაში იყო, მაგრამ ეხლა რომ ხედვენ თავის შრომის ნაყოფს, სრულიად აღარ ახსოვსთ ის შრომა და მწუხარება, რაც მათ გასწიეს ეკლესიის შენების დროს; მოხარულნი არიან, რომ ისინი უტყვევენ თავიანთ შვილებს და მომავალს ამგვარ დაუფიწყარს სახსოვარს, სადაც მათ საუკუნოდ ექნებათ მოხსენება «აღმაშენებელთა წმიდისა ამის ეკლესიისათა». ღვთის თავისი მეზობელი სოფლები, რომელთაც ძველი ეკლესიები აქვსთ, შენატრიან ამისთანა მშენებრის ეკლესიის აღშენებას.

ღვთისა აქვე ორიოდ სიტყვა ვსთქვათ ეკლესიის ოსტატზედ, რომელიც თავის მოვალეობას სინდისიანად ასრულებდა. ეს კაცი არის ლენხუმის მაზრის გლეხი, ნიკო ჭიღვარია. იგი კარგი ხელოსანია ქვისა მთელს რაჭა-ლენხუმში. ეს მეორე ეკლესია არის ამ საღმელოს საბლაღოჩინო ოლქში მისი აღშენებული. მისგან აღშენებული ეკლესიები ყველანი საიმედოანი არიან, როდესაც ბერძენისაგან ნაშენი ეკლესიები ყველანი დაზიანებულია.

მ. ა. შ-ბე.

საისტორიო მასალა.

(გაგრძელება *)

ბ) ჭეონდიდელ მიტროპოლიტი.

(950—1815 წ.)

«...მეფემან გიორგი (921—955 წ.) აღაშენა საუდაჩი ჭეონდიდისა და შექქმნა საეპისკოპოსოსად და განაშენა იგი ნაწილთა სიმრავლითა წმიდათა მარტვილთათა...» ქ-ცხ. 1 ნაწ. 197 გვ.

«...ბანძის ზეით და ცხენის წყლის დასაკლით და მჭკნკრტი, მაღალს ადგილზედ არს ჭეონდიდი, კველე სია გუნბათანი, დიდშენი, მარტვილისა»... გეოგრ. ვახუშტ. 394 გვ.

«...იყო ჭეონდიდლის ხელისანი: ქვრივ-ობოლნი, დაჯდომილნი, უსამართლო-ქმნილნი, შეწუხებულნი და შეჭირვებულნი; ესე აუწიებდა ამითთა უოკელსავე მეფესა. ესევე იყო მწიგნობართ-უსუტესი უოკელთა სამეფოთა მწერალთა; ესევე მისცემდა მეფისაგან ბძანებასა ეკვლეპსია-მონასტერთა და ლაშქართა მოწვევად და მათთა სამჭირნოთა მოხსენებად მეფისა; ესევე იყო ლაშქრობისა უამსა პატარისისა ჯვარისა მძღვანებელი წინაშე სპათა, და ბძმელისა უამსა უგან მსგელელი, ანუ ჩხთაული (арьергардъ) და ასალ წელს მაკვლევი მეფისა»... ასალ წელს 1 იანუარს უწინარეს ცისკრის ღოცვისა უკვლევა მეფესა ჭეონდიდელი ჭვარსა და ხატისა და სამკაულსა მეფესა და დედოფალსა და სანუგარსა შესჭისასა»...**) გეოგრ. ვახუშტ. 28, 32 გვ.

*) იხ. «მწეშისა» № 10, 1892 წ.

**) ეს იყო მიზეზი, რომ ჭეონდიდის სამღვდელთ-მოაზრო ტანტზედ აღვიდოდნენ საუკეთესო პირნი საქართველოს მამულესის სამღვდელთაგან; მაღალ, განვითარებულ ქაუზონებასთან ერთად ჭეონდიდელი აღჭურვილი იყო მაღლის ზნეობით, სათნოებითა და უბიწო ცხოვრებით. ეპურათ მეორე დგილი შემდეგ კათალიკოსისა). ჭეონდიდელთა მაღალი მნიშვნელობა და გავლენა აღფრთოვანდა საქართველოს სამეფოს გაძლიერებასთან ერთად (X, XI და XII საუკ.) დროდან ერთმთავრობის სამად განხეთქისა და ახსაზეთის საკათალიკოსოს დაარსებისა გავლენა ჭეონდიდელთა დასუსტდა თან-და-თან. 1815 წ. მიიცივალა უანასკნელი ჭეონდიდელი ანტონი და თან ჩაჰყვა საფლავში მარტვილის დიდებულს დღეს ფოთი მარტვილოს, ხოლო მარტვილი მონასტრობს.

სტეფანე 950—963 წ. სანაროხს ძე. წინდ მტუბრავი. მთხველი საეკლესიო კანონ-საგალობელთა. შატოვად ქართველთ წმიდათა, და შემდგენი— აღმწერი წმ- გობთონის სენისქსარისა. იხ. «საგალობელნი» წერა-კითხ. საზ. ბიბლიოთ. № 425 (შემოწინული უგანთ. თ. ნ. მინგრელსკი).

იოანე 1047—1089 წ. ძე ბეტრე ბატრიკისა. მეფე ბაგრატ IV გიორგი მთაწმიდელი თან წაიუგანს ქართლიდან ახსაზეთში დასახამთრებლად და გზად მარტვილზე გაიარეს, აქ ამა იოანემ არა თუ უტეკ წარსულად გიორგი მთაწმიდელი და მუნ თვისთანა ამეოფეს, ვითარცა მოძღვარი თვისა ამხვე იოანემ თავის ძამა ბეტრესთან ერთად დააწესა დღესასწაული გიორგი მთაწმიდელისა 30 ივნისს. იხ. საქ. სამ. 466 გვ.

გიორგი 1090—1119 წწ. დედის ძმა მეფის დავით აღმაშენებლისა, რომლის დროს დიდს მონაწილეობას იღებს ადგილებისათვის ქართველთა დაცემულის ზნეობისა; იყო პირველი მწიგნობარი და მრჩეველი მეფისა; განაგებდა ობოლ-ჭკრიკთა და ღარიბთა საქმეს მთელ სამეფოში. 1115 წ. ამა გიორგის წინამძღვრობით ქართველებმა დაამარცხეს ოსმალი და წართვეს რუსთავი მტკვარზედ. ამა გიორგის დისწულს თეოდორესს, კაცსა გორიერსს და ბძმენს, ებარა თრიალეთი და კლდეკანი. გარდაიცვალა რუსეთში, სადაც თან ახლდა დავით III დამოუკრებისთვის ოსთა; დასაფლავეს გელათში. მეფემ 40 დღე იგლოვა მისი დაკარგვა და მხოლოდ ვახტანგის დაბადებისა გამო ახსნა გლოვა მთელს სამეოფოში. ქ-ცხ. 247 გვ. საქ. სამ. 496—499 გვ.

სვიმონ 1120—1150 წ. დავით III რომ შიკვანი (ქ. შუახს და მისი მიდამონი) დანიშრო, ეველგან თვისი მისხნდო ჯვარის კაცნი დააუენა და იმ ქვეყნის გამკეობა ამა სვიმონს ჩააბარა. ქ-ცხ. 252 გვ. Истор. Барат. IV ტვ. 26 გვ.

ანტონი 1174—1230 წ. გელავანის ძე სვანი. მწიგნობართ-უსუტესი აღიზარდა დავით გარეჯის უდაბნოში. პირველ განაგებდა სამთავისის კათედრასა და შემდეგ, უბიწოდ მოღვაწეებისათვის აღყვანილ იქმნა ჭეონდიდელად თამარის მიერ; დაესწრო მცხეთაში კრებასა. კათალიკოსმა მიქელმა წართვა დინსებანი (1181—1192 წ.)—მწიგნობართ-უსუტესობა და საუდაჩნი, ანტონი განეშორა დავით გარეჯაში. 1192 წ. კი თამარმა მოიხმო ანტონი და აღუდგინა უფლებანი— «...მთიყვანა (თამარმა) ანტონი, გელანის თავის ძე, გარეს-



ჟით, რომელი პირველ ჭეონდიდელი იყო და მეორე კათალიკოსის მის მოსტატა, მოძმაცოთა ვითე მე-
 თისა განმწიხნათა; ესე მოიყვანეს, ნავდვალვე კაცი
 დიხსი ქებისა, მართალი, წრთელი უმანკო, სახიერი,
 მოწყალე, უოკელთა ტეზიდი, მდაბლი, მატრონის ერთ-
 გული და შემეცნებული საურავთა ეკლესიათა და მო-
 ნასტერთათვის. რადღა სახმარ აჩს თქმად, თვით წამე-
 ბენ ქმნილნი მისნი უოკელგან, ვითარცა მღვამესა და
 კლარჯეთს მის მიერ ქმნილსა მონასტერსა, და უოკელთა
 ადგილთა შეიღთავე სამეფოთა. და დიდბულთა განწ-
 რახეთისა ესე (ანტონ) დასვეს ვაზირად. მასცეს ჭეონ-
 დიდი, სამთავისი, კისის ხევი (თელავის მახლობლად)
 და მწიგნობართ-უსუტესობა. რამეთუ მართლს, უკეთუ
 უბრძემს, ანავე დაეცეს. ამიერიდგან იწვეს განწიხნათა
 კეთილთა სამეფოსათვის და ერის უმჯობესთა...
 ქ-ცხ. 293 გვ. დავით სელსანი რამ შამქერის რამში
 ემზადებოდა... «მწიგნობართ-უსუტესი ანტონიდა მის
 წინავე იყო, კაცი შესხედვით ჭაბუგო და გვარტომი-
 ბით ანა უწინა; მას უბრძმისა წარმღვანავა ძელისა ცხოვ-
 რებისა, რომელი აჩს სკამტრსა და ჯაჭვ. ჭეონი მეფეთა...
 ქ-ცხ. 305 გვ. უგანასკნელ სტროგობდა შიო მღვამის
 ლავრში, სდაც გააკეთა—გამოიყვანა ძალით წველი,
 დამშრალი წარსულ საუგუნეში, და იქვე აღსრულდა. წყობ.
 სიტყვ. 223 გვ. опис. Шю-мгв. пует. 33 გვ. Сва-
 нетія ბაქრად. 31 გვ.

ბასილი 1248—1304 წ. თანამედროვე რჩევე
 დავითების. „...განდიდნა ჭეონდიდელი ბასილი და უჯარ.
 მელი და იწყო საურავთადა ქმნიდა თვინიერ მეფისა კით-
 ხისა. და მეფისა იმერეთ უოფნისა შინა დაადი აწეინა
 სეფეთა ქვეყანათა, რამეთუ ვითარ თვისთა ხედვოდა; და
 სიტყვად ესრეთ იყო, ვითარმედ ესუქანს (მეუღლე და-
 ვით V, რომელზედაც იქონწინა 1263 წ. და ასული
 ჭარბადან ნონისა, მონგოლისა) თანა ეყო. ამისთვის
 შესმენილ იქმნა ბასილი წინაშე მეფისა, რომელმან
 მსწრაფელ მოიყვანა და ბრძანა ძელზე დამოკიდება. და
 მოჭკიდეს ძელსა, შუა ქალაქსა, რამეთუ იყო მეფე მ-
 ლე მოწმუნე და ლიტონიდა... „...მიიცვალა მეფე
 დავით... თქმულ აჩს ესეცა, ვითარმედ წამლისა მიერ
 აღსრულდა, ცოლისა მისისა ესუქანის მიერ მიცემითა
 წამლისათა, შუკისათვის ბასილი უჯარმელისა, რომელი
 მოაკვდინა მეფემან უწესობისათვის; თანა ეყო ბასილი
 ესუქანს და ანა ჭრიდა საწოლსა მატრონისა მეფისასა;
 და ხლანადა (ბერბა) აღისდა და მთავრობა მიიტაცა.
 ამის უწესობისათვის მოაკლა ბასილი“... ქ-ცხ. 399;

409 გვ. ბასილი ჩამოსხნეს 1266 წ. დავითი მიიც-
 ვალა 1269 წ. ხალა ესუქანი შეირთო დავით VI.
 ამა ბასილის დროსვე აღწერეს მთელი საქართველო და
 ხარჯი დაადგეს მონგოლებს, ხალა ეკლესია-მონას-
 ტერთა უძრავ-მოძრავი ქონება და საღვთველნი თავი-
 სუფალნი იქმნენ და გამოსადგებო ანა შეაწერეს რ. ბაქრ.
 წიგ. 247 გვ.

მლოი 1305 წ—1334 წ.
 მიტროფანი 1635—1658 წ. აფაქიძე.
 ბაბრიელი 1659—1680 წ. ჩიქოანი, მის კაცა-
 სისა, რომელსაც ებუჩა, ვითარცა მთავარსა, საღვთარ-
 ტიანო ლეჩხუმი ლეონ დადიანის უამისა. ვამევე დადიანის
 ერთგულებისათვის, ქართლის მეფე ვასტანგ V ესე გაბ-
 რიელი მატრამ ჭეო და წამოიყვანა თან. ვამევე სუა-
 ნეთში მოაკვლევინა ვასტანგმა. გაბრიელი შუალავიდა
 გაუპარა, მივიდა მარტვილს და კვლავ ჭეონდიდელ იქმნა
 და ფრად განდიდნა; დაუხლოვდა ლეკან დადიანს და
 მისგან აღმატა მისი კაცია ჩიქოანი და დამკვიდრა
 ლაზარტიანობა და ჭხოცდა წარჩინებულთა გაბრიელის
 რჩევით. ამ დროს მისხანში (?) დრანდას და მოჭკვი
 ემისკობისნი არ იხსდნენ.

ვედემოს 1665—1676 წ. რაჟი გაბრიელი მი-
 იმეტა მეფის ბაგრატიის დედინაცვალს და კონსტანტინე-
 შილს სულთანთან გაჭევა, ესე ეკადემოს ჭეონდიდლობდა
 მეფე ბაგრატიის დროს, რომლისაგან წარმოგზავნა დეს-
 პანად მოსკოვში 1670 წ.; რაჟი გეგონ გენათელი
 დაპატიმრეს მოსკოვში ბატონიშვილის ნიკოლოზის
 (ნაზალ-ალიხანი) დაბეზლებით, ბაგრატიმ ახლა ესე ეკ-
 დემოსი გაგზავნა დესპანად. Переп. груз. ц. сь рус.
 год. 85; 97 გვ.

ნიკოზ მატროზალიტი 1681—1698 წ. ჭილაძე,
 ქველის მის აჩილ მეფის მომხრობისათვის ესე იავობ
 1694 წლიდან განიღებინა და დროებით განაგებდა ხობის
 მონასტერს მათა სურვილისამებრ. გაჭევა აჩილს რუ-
 სეთში. უბარდოში აჩილი ტევედ შეიხრეო უულნუ-
 ქომ და ესე იავობ წარგზავნა მოსკოვში დესპანად
 შემწეობის სათხოვნელად. переп. груз. ц. рус. г.
 LXXIV გვ.

ბაბრიელი 1699—1727 წ. იყო უმრწამსი მე-
 გობრიო ლაზარტიანისა, რომელმაც უბოძა მის ჭეონ-
 დიდლობა ჯერეთ მღ. მონაზონს. («იკრია 1878 წ.
 № 7—8, 145 გვ.) ესე გაბრიელი მიემხრო იმერეთის
 დედოფალს, სახელავანს თამარს, სახელავანის გობრიო

აბაშიძის ასულს, წარვიდნენ არზრუმში, დაქრთამეს ფაშა და იბოვლეს ბეჟან დადიანზე (ჩიქოანა); «ბეჟანმა დაქრ. თამარ ასაფუაშა (ტფილისში) და ქართლიდან გადმოუკანდილი აღუქსანდრე გიორგის ძე იმერეთში გაამეფაო; ბეჟანი უგელგანა ბატონობსა». ამისათვის ასაფუაშა დაიბარეს არზრუმში და დიდად სტანჯეს. ამავე დროს ბეჟანმა და აღუქსანდრემ დაატყვევეს ქრთამი არზრუმში და ასაფუაშა გაამართლეს; უსათუებლად ჩივილისათვის შეიბურეს თამარი და ესე გაბრძოლა და გამართლებულს ასაფუაშას მისცეს ხელთ, რომელმაც მოაყვანა იგინი გათავილინი იმერეთის და ბეჟანს მისცა. ბეჟანმა თამარი დაამწუვდა დაქვეყნის ტახტში, ხალხი გაბრძოლეს ჩამართვა ჭყონდიდლობა და განუტყვეა 1723 წ. იხილეთ «ივერია» 1882 წ. № XI 39 გვ. ქ.-ცხ. 221 ბგ. და ისტ. იბოვრ. Грузин, Головина 167 ст.

ბრიგოლ 1724—1739 წ.

ზაბრიელი 1740—1759 დადიანი. წინათ ჭუმბოელ-გენათელი.

ანტონი 1754—1804 წ. დაიბადა 1731 წ. მიიტყალა 1815 წ. სექტემბრის 14. იყო შესანიშნავი მქადაგებელი, მწერალ-მწიგნობარი და მგალობელი. მისნი ქადაგებანი უღიან დაბეჭდვას; იგინი ხელში ჭქონდა 1864—1867 წ. ზატივეტმულს დეკანოზს გ. ხელიძეს.

ბესარიონ 1789—1800 წ.

იოანე 1792 წ. ძე კაცია დადიანისა.

იმედს არ ვეარტავთ, რომ უფრო დაწვერდებითი ცნობანი სახელგანთ ჭყონდიდლებას შესახებ უნდა მოიხვედნენ მარტვილის მიდამო-მონასტრებში, რომ იგინი აღმოჩნდებანი და შეაკვებენ ნაკლსა სიისას და ცნობებისას.

3. ცხვილიელი

მხსოვანის ჭმუნვა.

მოვხუცდი, დონემ მიმტყუნა,
სისუსტემ სძლია ჯანია,
რაც ვიყავ, ვხედავ, ადარ ღარ
გავფლიე ურმობის ხანია

გულს ადარ სწუერის ჩვეულებრ
ღუნენა, როჯვა, და თამაში,
უველა მომისპო სიბერემ,
ვსწუეველი ამ სოფელს ამაში.

ვაყვაცობის დროს მამაცი
მხნე ჭაბუგი ზე ქველია,
სიბერის დროს კი შევიქენ
უველასგან საწუნელია.

გამმორდა ჩემი ჯავარი
დამაგდო ობლად მწირია,
სიბერემ ასე დამჩაგრა
ერთ დროს ნაქები გმირია.

დიხს, ადარ ვარ, რაც ვიყავ,
არც მაქვს, რაც მქონდა წინეთო,
უველა ამხადა სიბერემ,
მომღუნა წელში მძიმეთო.

მამ ვინც ნატრულობს სიბერეს,
რას ელის ნეტავ მისგანო?
კაცს სრულად ართმევს იმ ტაღანტს,
რაც ბოძებია ფვთისგანო.

ქაიხოსრო გელოვანი.

ჩ ი მ ს ს უ ლ ს .

სულო! ნუ შფოთავ, დამშვიდდი, ფვთის მადლის
მაკმარე, რაც ვსვით ჭმუნვის ნადველი,
მოსვენებას რომ სულ ადარ მაძლევ,
ჭმუნვა-ვაგბით აბა რას ველი?

კი მართალია, სამხიარულია
ამ სოფლად ჩემთვის არათერია
ბედმა მიმუნთლა, წამართვეს სრულად
რაც ჩემთვის ძვირად საღირელია.

მაგრამ ამ ჭმუნვა, კვნესა-ვაებით
მოთხარი ერთი, რა გვირიგდება?
რასა გვრგებს დრტვინვა, ვიხვრა — ჭ ცრემლი,
ამით ხომ საქმე არ გაკეთდება.

ხომ იცი მართაღს, უმართლოდ ჩაგრულს
ჯვარცმული აპურობს თვის კურადდებას,
უმზადებს ზეცას სავანეს მუედროს
და იქ ანიჭებს სრულს ნეტარებას.

რას, ამ ქვეყნის შვება-დიდება?
ვით შეედრება ზეციურს შვებას,
თუ რომ მოვითმენტ ამ ქვეყნად ტანჯვას
და არ დავარდვევთ მაცხოვრის მცნებას.

უკვდავი არის იქ ნეტარება...
აქის წამებით მოპოებულნი,
ხერათივით დასი ესეთსა სულსა
უგალობებენ ადტაცებულნი.

ღიას, ამ რწმენით დამშვიდდი, სულო!
ზეცას მიაპყარ გონების თვალი,
ერიდე ბორბატს, ეშმაკის მცნებას,
რომ არ დაჰკარგო ის მომხვალნი...

ქაიხოსრო ველოვანი.

ახალი ამბები და შენიშვნები

ერთ რუსულ გაზეთში წავიკითხეთ, ვითომც
უწმ. სინოდში განსვენებული მიტროპოლიტის ისი-
ლორეს ადგილზე გადაყავთ კიევის მიტროპოლიტი
იოანნიკე. მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს ხმები დასაჯე-
რებელი არ არის. სანამ 40 დღე არ შესრულდება
განსვენებულის მიტროპოლიტის ისილორეს გარდაც-
ვალების დღივამ, მანამდე ამ საგნი შესახებ არა-
ვითარი მსჯელობა არ შეიძლება; შემდეგ უწ. სინოდი
ერთ თავის კრებაზე, რომელზედაც ყველა წევრი
ესწრებინ, ნიშნავს სამ-სამ კანდიდატს თითოეულს

კათედრაზე; ამ კანდიდატების სია სინოდის ობერ-
პროკურორის ხელით წარედგინება ხელმწიფე იმპე-
რატორს. სინოდი საზოგადო წესისამებრ მიტროპო-
ლიტის ადგილზე ნიშნავს იმ ყოვლად სამღვდელოს,
რომელიც სხვაზე უფრო ადრე არის ხელდასმული
ეპისკოპოსად.

* *
*

იმერეთის ეპარქიალური გაბრიელის საქალებო
სასწავლებლის მოსამზადებელ კლასში ამ სასწავლებ-
ლის კომიტეტმა მასწავლებლად დანიშნა ასათიანის
ქალი, რომელსაც ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში
აქვს სწავლა დამთავრებული.

* *

სახელმწიფო ბანკის უკანასკნელი ტირაჟისაგან,
რომელიც მოხდა 1 სექტემბერს 1892, სჩანს, რომ
ბანკში დღემდე არის მკორე სესხის მოგება 267,500
მანეთამდე, რომელიც ჯერ არ მოუკითხავთ. 320
ბილეთის პატრონთ, რომელთაც ხელათ სხვა-და-სხვა
მოგება, დღემდის არ მოუკითხავთ ის ფულები, რომ-
ელიც ერგო მათ ბილეთებს. 320 ბილეთებში 297
მოიგო ხუთას-ხუთასი მანეთი, 24—ათას ათასი, 3—
ხუთ-ხუთ ათასი, 5—რვა-რვა ათასი და 1 ორმოცი
ათასი.

* *

შემთხვევა ხოლერით ავადმყოფთა სადგურ-
ში ქ. ბაქოში. გაზეთ «კასში» ვკითხულობთ: «ქა-
ლაქში, ბაილოვში ერთ იქ მცხოვრებ ქალს მარიამ
კალმიკოვისას, ხოლერის გაჩენისათანავე, გაუხდა
ავად ერთად ერთი ვაჟი პეტრე, რომელიც მაშინვე
გააგზავნა დედამ ხოლერით ავადმყოფთა ბარაკში.
ორი დღის შემდეგ დედა წაიდა საავადმყოფოში შეი-
ლის ამბას შესატყობად. აქ მან შეიტყო მოსამსახუ-
რების და საავადმყოფოს უფროსისაგან, რომ მისი
შვილი უკვე გარდაცვლილა და კიდევ დაუსაფლავე-
ბიათ, საცოდავმა დედამ თავის შვილის სულის მო-
სახსენებელი პარაკლისი გადაახდევია მღვდელს და 3
კვირის შემდეგ შვილის სიკვდილი მისწერა რუსეთში
თავის ქმარს. წარმოადგინეთ საბრალო დედის შიში,
როცა 3 კვირის შემდეგ, საღამო ქაშე, «გარდაცვა-

ღებულმა შვილმა თანჯარაში დაურაუნა. დედაც, დედაც, გაზიდვ, მე გამოვეწერე საადადმოყოფად. უძახდა დედას შვილი. დედას შეეშინდა, იყო პირ-ჯგირის წერა, შემდეგ გამოვიდა და თვალ-ცრემლიანი მოეხვია კისერზე შვილს, რომელიც ხოლერით ავად-ყოფთა სადგურის მეუფროსეთა წყალობით აღიარე-ბული იყო მკვდრად.

* *

ნებოძირის შტატის წმ. გიორგის ეკლ. მღვდლის იოანე ფერაძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდე-გი წერილი:

«მ. წყაპტორა! უმარხილესად გთხოვთ თქვენს ზატეგეშელის გაზეთის «მწეშისი»-ს საშუალებით ნება გვიბოძათ, რომ უგულთადესი მადლობა გამოგვხადოთ როგორც ჩემს მკვლეს ერთობით, აგრეთვე გარეშე ზიანთაც, რომელთაც შემოსწარეს ჩემთვის შტატის და ზედ მიწერილის სოფ. გოლათუნის ეკ-კლესიებს საეკლესიო ნივთები და გთხოვთ დაბეჭდოთ შემოსწარველთა საცხადო;

წახსულს წელში შეკრებილ იქმნა ჩემ მიერ 120 მ. ფული, რომლითაც ზარი იქმნა მოსუილული ზე-მოსხენებულის შტატის ეკლესიისთვის. ამსოფ. მცხოვ-რებმა გ. ვ. დონდაძემ გააკეთა თავისი საკუთარის ხარ-ჯით ხის სამრეკლო, ღირ. 90 მ.; გლ. მ. ე. ხახაძემ შემოსწარა ამავე ეკლესიას 1 მაცხოვრის ხატი, ღირ. 5 მ.; გლ. ი. ზ. ტედლიშვილმა— 2 დეთის მშობლის ხატი, ღირ. 4 მ.; რკინის გზის მსახურმა ა. ვ. შვენ-დერმა—ერთი ქართულად განმანათლებელის წმ. ნინას ხატი ღირ. 5 მ.; გლ. ალექსი ს. ცხორებამ ერთი მადლა ჩამოსაკიდებელი განდელი, ღირ. 2 მ.; ბერძენმა თეოდორე ე. მარასკულმა 2 რკინის ჯვარი ეკლესიის თავზედ დასადგმელი, ღირ. ორივე 10 მ.; რკინის გზის უანდაძმა ნ. გ. აკაკულევმა საწიგნებოზედ და საკონდაკეზედ გადასათარებელი, ღირ. 6 მ.

სოფ. გოლათუნის ეკლესიისთვის ზარის მოსა-ზრებლად შეკრებილ იქმნა ჩემ მიერ 60 მ. ფული; 50 მ. ზარი იქმნა სუილული და დანაშთიანი ათი მახეთათ 3 მადლა ჩამოსაკიდი განდელი, ამ სოფ. მცხოვრებმა გლ. რ. მ. დამბაშიძემ შემოსწარა მადლა ჩამოსაკიდი განდელი 3 მ. ღირ.; გლ. ი. გ. დამბაშიძემ 1 წმიდა

ნიკოლოზის ხატი 2 მ. ღირ. აგრეთვე უგულთადეს მადლობას გუგუხადებ შოქ. მას, ხარაგაულის უბნის ბოქაულს ბ. ა. წარეთელს, რომელმაც აღმოაჩინა ჯე-რკანი დახმარება როგორც კვირა რამე დღეებში მუშა-ობის მოსზობის, აგრეთვე ეკლესიის გალავნის შემო-კვების საქმეში.

რედაქციის პასუხი.

ლია. ალექ. გვ—ას. თქვენი გულმოსულობა სწორეთ სტა-ქან წყალოში მომხდარ ლელვას ემს-გავსება. გულგრილად უყურე ყვე-ლაფერს... იმედია, ოდესმე ყველა ამ უწესოებას მიექცევა ურადლება ან ეაცისაგან და ან ღვთისაგან...

მღვდ. მელ. ახესაძეს. თქვენგან დასახელებული საეჭვო კით-ხვები აღსწინილი და განმარტებულნი არიან წინა წლებში და ხელმოკრეთ მათ განმარტებას უადგილოდ ვსცნობთ.

მღვდელს ნ. ყიფიანს. თქვე დალოცვილო, ზოგიერთები აუარებელ ფულს იხდიან, ოღონდ კი აკურთხონ და ბოლოს კი ჩივიან, ბინას არ გვაძლევს მრევლიო. ვინ ატანდათ ძალას კურთხევაზედ? განა არ იცოდენ, რომ ბინა არ იყო კრე-ბულისთვის სამრევლოში? ერთ სამ-რევლოზედ ოცი მთხოვნელია და რა-ღას დაეძებს მრევლი ბინის აშე-ნებას?

სალიტერატურა განყოფილება: სად უნდა ექნესო ბინა მოსწავლე ქალებს?—ხმა პროვინციიდან.—«მწეშისი»-ს კორრესპონდენცია რაჭის მაზრიდან.—მსცოვანის ქმენვა.—ჩემს სულს (ლექსნი).—საისტორიო მასალა.—ახალი ამბები და შე-ნიშვნები.—რედაქციის პასუხი.